



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### თამაზაშვილი თამაზ ალექსანდრეს ძე

თამაზაშვილი თამაზ ალექსანდრეს ძე (დ. 2. II. 1957, სოფ. ქვემო მახაანი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი), პოლიციის გენერალ-მაიორი (2000). დაამთავრა მოსკ. მილიციის უმაღლესი სკოლის თბილ. ფაკ-ტი (1985). 1996–2001 იყო საქართვე. შს სამინისტროს კახეთის სამხარეო სამმართველოს უფროსი, 2001–02 შს სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე. 2002–04 საქართვე. ავტონსპექციის უფროსის მოადგილე. სპორტის ოსტატი ძიუდოში (1978). სსრკ. ჩემპიონი ხუთჭიდში (1982), საქართვე. შსს დამსახურებული მუშაკი (2000). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III (1998) და II (2000) ხარისხის ორდენებით.

**ლ. დოლიძე**

---